პროგრამის სახელწოდება

„შენობა-ნაგებობისა და შენობა-ნაგებობისა და მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლისა და ტექნიკური შემოწმების სამუშაოები“

პროგრამის სახე : მომზადება

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 16 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 25 საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: ასაკი 18, საშუალო განათლება

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, მსმენელი მოკლე დროში აღიჭურვოს იმ ცოდნითა და პროფესიული უნარ-ჩვევებით, რომელებიც მას რეალურად გამოადგება აღნიშნული სპეციალობით წარმატებული მუშაობისთვის.

შეასწავლოს მას დასაქმების შესაძლებლობები და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება , ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე , შენობა-ნაგებობისა და შენობა-ნაგებობაში არსებული საკომუნიკაციო სისტემების დაზიანებებისა და დეფექტების აღმოფხვრის გზები , შენობა-ნაგებობების საკუთრებაში

არსებულ ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის დაზიანებებისა და დეფექტების აღმოფხვრის

გზები, უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისთვის საჭირო უსაფრთხოების

სავალდებულო ღონისძიებები

პროგრამის მოკლე აღწერა

პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან საშუალო განათლების მქონე პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები, გაიაროს პრაქტიკა და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

სწავლება განხორციელდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით. კოლეჯში კვირეული დატვირთვა არის 25 საათი და საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების დროს კვირეული დატვირთვა არის 25 საათი. პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ

სწავლის შედეგები (აღინიშნება ცოდნით და უნარით)

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1.შეუძლია დასაქმების შესაძლებლობების აღწერა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;

2.შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

3.იცის შენობა-ნაგებობისა და შენობა-ნაგებობაში არსებული საკომუნიკაციო სისტემების დაზიანებებისა და დეფექტების აღმოფხვრის გზები;

4.იცის შენობა-ნაგებობების საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის დაზიანებებისა და დეფექტებისა აღმოფხვრის გზები

5.აღწერს უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისთვის საჭირო უსაფრთხოების სავალდებულო ღონისძიებებს

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები

შპს ორბი ჯგუფი ბათუმი

დასაქმების სფერო:

პერსონალური მომსახურებები (ვიწრო სფერო)